სესხის ნომერი——— GEO (SF)

სესხის ხელშეკრულება

(განსაკუთრებული ოპერაციები)

(მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა პროექტი 2)

საქართველოსა

და

აზიის განვითარების ბანკს

შორის

დათარიღებული 24 ივლისი 2012 წელი

GEO 42414

სასესხო ხელშეკრულება

(განსაკუთრებული ოპერაციები)

სასესხო ხელშეკრულება დათრიღებული 24 ივლისი 2012 წელი საქართველოს (შემდგომში "მსესხებელი") და აზიის განვითარების ბანკს (შემდგომში "ADB") შორის.

ვინაიდან

(A) მსესხებელსა და ADB-ს შორის 2010 წლის 21 ივნისით დათარიღებული დაფინანსების ხელშეკრულების მიხედვით (შემდგომში "FFA"), ADB-ი თანხმობა გამოუყოს მსესხებელს მრავალტრანშიანი დაფინანსების მექანიზმით რესურსი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (შემდგომში "საინვესტიციო პროგრამა") ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად;

(B) 2012 წლის 16 მარტს, მსესხებელის მიერ წარმოდგენილი პერიოდული დაფინანსების მოთხოვნით და სესხის პროექტთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს მსესხებლის მიერ 23 ივლისს შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით, მსესხებელმა პერიოდული ფინანსური მოთხოვნით (შემდგომში "PFR") მიმართა ADB-ს: ა) სესხის გამოყოფის თაობაზე ADB-ს ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსიდან; და ბ) ADB–ს სპეციალური ფონდის რესურსებიდან სესხის გამოყოფის თაობაზე, მოცემული სესხის ხელშეკრულების დანართ I-ში აღწერილი პროექტის მიზნებისათვის;

(C) მსესხებელსა და ADB-ს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების ("სასესხო ხელშეკრულება ჩვეულებრივ ოპერაციები") თანახმად, ADB-ი თანახმაა ADB-ს ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან მსესხებელს, პროექტის მიზნებისათვის, გამოუყოს სესხი სამოცდაოთხი მილიონი აშშ დოლარის ($64,000,000) ოდენობით;

(D) პროექტს განახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("MDF"). საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის განკარგულებით. ამ მიზნებისათვის მსესხებელი უზრუნველყოფს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის თანხების ხელმისაწვდომობას MDF-ისათვის ADB-სათვის მისაღები პირობებით; და

(E) ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ADB თანახმაა გამოუყოს მსესხებელს სესხი ADB-ს სპეციალური ფონდის რესურსებიდან, ADB-სა და MDF-ს შორის გაფორმებული საპროექტო ხელშეკრულების შესაბამისად;

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

სესხის გაცემის წესები; განმარტებები

პუნქტი 1.01. ADB-ს 2006 წლის 1 იანვრის სპეციალური ოპერაციების სესხის გაცემის წესების ინსტრუქციების (შემდგომში "სესხის ინსტრუქციები") ყველა დებულება სრულად ვრცელდება წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებაზე, შემდეგი ცვლილებების გათვალისწინებით:

(a) პუნქტი 2.01 (25) ამოღებულია და შეცვლილია შემდეგით:

"საპროექტო ხელშეკრულება" ნიშნავს საპროექტო ხელშეკრულებას ADB-სა და MDF-ს შორის; და

(b) "პროექტის განმახორციელებელი სააგენტო" სესხის ინსტრუქციების 6.01(a), 8.01(d), 8.01(f), 8.01(k), 9.01(c) და 9.02(c) პუნქტებში ჩანაცვლდა ტერმინით "MDF".

პუნქტი 1.02. წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც სესხის ინსტრუქციებში, თუკი ხელშეკრულებაში არ ითვალისწინებს ცვლილებებს ან თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს. სასესხო ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

(a) "დებულება" გულისხმობს MDF-ის დებულებას დამტკიცებულს 2005 წლის 23 ივლისის მთავრობის №118 განკარგულებით, მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

(b) "საკონსულტაციო სახელმძღვანელო" ნიშნავს სახელმძღვანელოს აზიის განვითარების ბანკისა და მსესხებელების შორის კონსულტანტების გამოყენების თაობაზე (2010, მასში შეტანილი შესაბამისი ცვლილებებით);

(c) "საკონსულტაციო მომსახურება" ნიშნავს მომსახურებებს, რომლებიც უნდა დაფინანსდეს სესხის თანხებით, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების დანართი 1-ის 3(c) ქვეპუნქტის შესაბამისად;

(d) "გარემოს შეფასებისა და მიმოხილვის დოკუმენტი" - "EARF" ნიშნავს გარემოზე ზეგავლენის შეფასებისა და მიმოხილვის დოკუმენტს საინვესტიციო პროგრამისათვის, შეთანხმებულს მსესხებელსა და ADB-ს შორის და წარმოადგენს FFA-ს ნაწილს, დოკუმენტში პერიოდულად შეტანილი შესაბამისი ცვლილებებით;

(e) "გარემოსდაცვითი მართვის გეგმა" - "EMP" გულისხმობს პროექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმას, მასში შეტანილი შესაბამისი ცვლილებით, რომელიც წარმოადგენს IEE-ის ნაწილს;

(f) "გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები" ნიშნავს SPS-ის დანართი 1-ის მე-V ნაწილის და/ან დანართ 4–ში განსაზღვრულ პრინციპებსა და მოთხოვნებს;

(g) "გარემოს თავდაპირველი შემოწმება" - "IEE" ნიშნავს პროექტის თავდაპირველ გარემოსდაცვით შემოწმებას, შესაბამისი განახლებული ინფორმაციით, რომელიც მომზადებულია მსესხებლის მიერ EARF-ის მოთხოვნების შესაბამისად და მიღებულია ADB-ის მიერ;

(h) "იძულებითი განსახლების უსაფრთხოების ზომები" ნიშნავს SPS-ის დანართ 1-ის მე-V ნაწილის და/ან დანართ 4–ში (შესაბამის შემთხვევებში) განსაზღვრულ პრინციპებსა და მოთხოვნებს;

(i) "სესხის ჩამორიცხვის სახელმძღვანელო" ნიშნავს ADB-ის სესხის მომსახურების სახელმძღვანელოს (2012, შესაბამისი შემდგომი ცვლილებებით);

(j) "PAM" ნიშნავს "პროექტის ადმინისტრირების სახელმძღვანელოს" მსესხებელსა და ADB-ს შორის 23 ივლისს შეთანხმებული პროექტისათვის, მსესხებლისა და ADB-ის შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურების დაცვით შეტანილი შესაბამისი ცვლილებებით;

(k) "შესყიდვის სახელმძღვანელო" ნიშნავს ADB-ის შესყიდვის სახელმძღვანელოს (2010, შესაბამისი ცვლილებებით);

(l) "შესყიდვის გეგმა" ნიშნავს 2012 წლის 23 ივლისით დათარიღებულ პროექტის შესყიდვის გეგმას, შეთანხმებულს მსესხებელსა და ADB-ს შორის, შემდგომში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, შესყიდვის სახელმძღვანელოს, საკონსულტაციო სახელმძღვანელოს და ADB-სთან შეთანხმებული სხვა ზომების შესაბამისად;

(m) "მიწის შესყიდვისა და განსახლების დოკუმენტი" – "LARF" ნიშნავს საინვესტიციო პროგრამისათვის მიწის შესყიდვისა და განსახლების სახელმძღვანელოს, შესაბამის ცვლილებებით, შეთანხმებულს მსესხებელსა და ADB-ს შორის და წარმოადგენილს FFA-ის ნაწილს;

(n) "მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა" - "LARP" ნიშნავს პროექტით გათვალისწინებულ განსახლეის თითოეულ გეგმას, შემდგომი ცვლილებებით, მომზადებულს და მოწოდებულს მსესხებლის მიერ RF-ში წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად და დამტკიცებულს ADB-ის მიერ;

(o) "უსაფრთხოების ზომების მონიტორინგის ანგარიში" ნიშნავს მსესხებლის მიერ ADB-სათვის მომზადებულ და მიწოდებულ თითოეულ ანგარიშს, პროექტის განხორციელების პროცესში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით EMP, RP და IPP (საჭიროების შემთხვევაში) დოკუმენტების შესაბამისად, პრეევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების ჩათვლით;

(p) "უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი" - "SPS" ნიშნავს ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადს (2009); და

(q) "სამუშაოები" ნიშნავს სამშენებლო ან მშენებლობას, რომლებიც დაფინანსდება სესხის თანხებით. ასეთი სამუშაოები მოიცავს ბურღვის ან რუკების მომზადების სამუშაოებს და პროექტთან დაკავშირებულ ისეთ მომსახურებებს, რომლებიც ხორციელდება ერთჯერადი პასუხისმგებლობის ან საზედამხედველო კონტრაქტის ფარგლებში, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა.

მუხლი II

სესხი

პუნქტი 2.01 ADB თანახმაა ADB-ის სპეციალური ფონდების რესურსებიდან გასცეს სესხი მსესხებელზე სხვადასხვა სახის ვალუტაში, რომელის ოდენობაც შეადგენს ათი მილიონი ექვსას ოცდაცხრამეტი ათასი, სპეციალური სასესხო უფლების ექვივალენტს (SDR $10,639,000).

პუნქტი 2.02 (a) მსესხებელი გადაუხდის ADB-ს საპროცენტო სარგებელს, რომლის წლიური განაკვეთი საშეღავათო პერიოდის განმავლობაში შეადგენს ბანკის სესხის ანგარიშიდან პერიოდულად გატანილი და დაუფარავი სესხის ოდენობის ერთ პროცენტს (1%), შემდგომში კი – ერთნახევარ როცენტს (1,5%).

(b) ტერმინი "საშეღავათო პერიოდი", რომელიც გამოყენებულია ამ ქვეპუნქტის (a) ნაწილში მითითებული ფორმით, გულისხმობს პერიოდს სესხის ძირითადი თანხის გადახდის პირველი გადახდის თარიღამდე, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მე-2 დანართში მოცემული სესხის ამორტიზაციის გრაფიკის შესაბამისად.

პუნქტი 2.03. სესხზე დარიცხული პროცენტი ან ნებისმიერი სხვა სახის საკომისიო დაფარული უნდა იყოს ნახევარწლიურად, ყოველი წლის 15 იანვარს და 15 ივლისს.

პუნქტი 2.04. მსესხებელი დაფარავს ბანკის სასესხო ანგარიშიდან გატანილი სესხის ძირითად თანხას, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მეორე დანართში მოცემული სესხის ამორტიზაციის გრაფიკის შესაბამისად.

პუნქტი 2.05. სესხის გაცემის წესების 4.03(a)-ისა და 4.04-ის მიზნებისათვი სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვისათვის განკუთვნილ ვალუტად განსაზღვრულია დოლარი.

მუხლი III

სესხის თანხის გამოყენება

პუნქტი 3.01. მსესხებელი გახდის ხელმისაწვდომს სესხის თანხებს MDF-ის ADB-ისათვის მისაღები ვადებისა და პირობების დაცვით; აგრეთვე უნდა უზრუნველყოს ამ თანხების გამოყენება პროექტის ხარჯების მიზნებისათვის, წინამდებარე ხელშეკრულებისა და პროექტის ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად.

პუნქტი 3.02. სესხის თანხების გამოთხოვა და გამოყენება უნდა განხორციელდეს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მესამე დანართის შესაბამისად. დანართში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მსესხებლისა და ADB-ის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

პუნქტი 3.03. გარდა სხვა შემთხვევებისა, ADB-ის თანხმობის შემთხვევაში, სესხის ტანხებით მსესხებელმა უნდა განახორციელოს ან უზრუნველყოს შესყიდვა, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მეოთხე დანართის შესაბამისად.

პუნქტი 3.04. გარდა სხვა შემთხვევებისა, ADB-ის თანხმობის შემთხვევაში, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს სესხით დაფინანსებული ყველა დასახელების გამოყენება მხოლოდ პროექტის განხორციელების მიზნებისათვის.

პუნქტი 3.05. ბანკის სასესხო ანგარიშიდან თანხის გატანა, რაც სამუშაოებსა და საკონსულტაციო მომსახურებასთან იქნება დაკავშირებული უნდა მოხდეს იმ ხარჯების საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია შემდეგ ხარჯებთან:

(a) სამუშაოები და საკონსულტაციო მომსახურებები, რომელთა მოწოდებას ახორციელებს ADB-ის ის წევრი ქვეყნები, რომლებიც ADB-ის მიერ მითითებულია შესყიდვის მისაღები წყაროების ნუსხაში; და

(b) სამუშაოები და საკონსულტაციო მომსახურებები, რომლებიც აკმაყოფილებს ADB-ის მიერ პერიოულად დადგენილ შესაბამის დამატებით მოთხოვნებს.

პუნქტი 3.06. სესხის ინსტრუქციების 8.02 მიზნებისათვის განკუთვნილი სესხის დახურვის თარიღად განისაზღვრება 2018 წლის 31 დეკემბერი ან სხვა თარიღი, რომელზეც პერიოდულად შეთანხმდებიან მსესხებელი და ADB.

მუხლი IV

განსაკუთრებული პირობები

პუნქტი 4.01. პროექტის და პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების პროცესში მსესხებელი შეასრულებს ან უზრუნველყოფს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მე-5 დანართში მოცემული ყველა ვალდებულების შესრულებას.

პუნქტი 4.02. მსესხებელმა საშუალება უნდა მისცეს ADB-ის წარმომადგენელს ჩაატაროს პროექტის, საქონლისა და სამუშაოების, აგრეთვე ნებისმიერი შესაბამისი ჩანაწერისა და დოკუმენტის შემოწმებას.

პუნქტი 4.03. (a) მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს MDF-ის მიერ (i) პროექტისათვის ცალკე ანგარიშების გახსნა და ცალკე ჩანაწერების წარმოება; (ii) პროექტის წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ADB-სათვის მისაღები ბუღალტრული პრინციპების შესაბამისად; (iii) ამგვარი ფინანსური ანგარიშგებების დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ შემოწმება. აუდიტორების კვალიფიკაცია, გამოცდილება და პირობები მისაღები უნდა იყოს ADB-სათვის; აუდიტი უნდა განხორციელდეს ADB-სათვის მისაღები აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად; (iv) თითოეული აუდიტის ფარგლებში აუდიტორების მიერ ანგარიშის (რომელიც მოიცავს აუდიტორთა შეხედულებებს სესხის თანხების გამოყენებაზე და წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ფინანსურ პირობებთან შესაბამისობაზე, ასევე ანგარიშგებებისა და დანახარჯების ცხრილების მომზადებისას გამოყენებულ პროცედურებზე) და მენეჯმენტის წერილის (რომელიც განიხილავს აუდიტის განხორციელებისას პროექტის შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილ ნაკლოვანებებს, ასეთის არსებობის შეთხვევაში) მომზადება; და (v) შესაბამისი ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში ADB-სთვის აუდიტის მიერ განხორციელებული შემოწმების ფინანსური ანგარიშების, აუდიტის ანგარიშისა და მენეჯმენტის წერილის ასლების (ინგლისურ ენაზე) მიწოდება, ამასთან, ADB-ის მოთხოვნის შემთხვევაში, მისთვის სხვა, წარმოდგენილ დოკუმენტებთან და აუდიტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

(b) ADB უზრუნველყოფს პროექტის აუდიტირებული ფინანსური მონაცემებისა და ფინანსურ მონაცემებზე აუდიტის მოსაზრების გავრცელებას ამ ინფორმაციის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, მისი ADB-ის ვებ-გვერდზე განთავსების გზით.

(c) ADB-ის მოთხოვნის საფუძველზე, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოფს ADB-ს დამოუკიდებელ აუდიტებთან ერთად განახორციელოს პროექტის ფინანსური მონაცემებისა და მსესხებლის ფინანსური საქმიანობის განხილვა, თუ ეს საქმიანობა პროექტთან არის დაკავშირებული, ზემოთ აღნიშნული (a)(iii) ქვეპუნქტის შესაბამისად; და უფლებამოსილებას ანიჭებს და იწვევს აუდიტის წარმომადგენელს ADB-ის მიერ მოთხოვნილ განხილვებში მონაწილეობის მისაღებად. ამგავრი განხილვები ტარდება მხოლოდ მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსესხებელი სხვაგვარ მოთხოვნას წარმოადგენს.

პუნქტი 4.04. მსესხებელი მიმართავს ყველა იმ ზომას, რაც აუცილებელია MDF-ის მიერ პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის; ამასთან, მსესხებელი არ ახორციელებს ან არ უშვებს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი V

ძალაში შესვლა

პუნქტი 5.01. სასესხო პირობების 9.01(f) პუნქტის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დამატებით პირობად განსაზღვრულია შემდეგი: ჩვეულებრივი ოპერაციების სასესხო ხელშეკრულება უნდა განხორციელდეს და შესრულდეს მსესხებლის სახელით და უნდა დაკმაყოფილდეს სესხის ხელშეკრულების ძალაში შესვლის ყველა წინაპირობა (გარდა პირობისა, რომელიც გულისხმობს წინამდებარე სესხის ხელშეკრულების ძალაში შესვლას).

პუნქტი 5.02. სასესხო პირობების 9.02(d) პუნქტის შესაბამისად, იმ დამატებით საკითხად, რომელთან დაკავშირებითაც მოსაზრება ან მოსაზრებები წარედგინება ADB-ს, განიხილება შემდეგი: ჩვეულებრივი ოპერაციების სასესხო ხელშეკრულება ავტორიზებული ან რატიფიცირებული, განხორციელებული და შესრულებულია მსესხებლის სახელით და მოცემული მსესხებლისათვის წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონეს.

პუნქტი 5.02. სასესხო პირობების 9.04 პუნქტის შესაბამისად, სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 60 დღე, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან.

მუხლი VI

უფლებამოსილების გადაცემა

პუნქტი 6.01 მსესხებელი MDF-ს ნიშნავს თავის აგენტად ნებისმიერი იმ მოქმედების განსახორციელებლად ან ნებისმიერი ისეთი ხელშეკრულების დასადებად, რომლებიც დაშვებული ან საჭიროა წინამდებარე სესხის ხელშეკრულების 3.02, 3.03 და 3.05 პუნქტებით და სასესხო პირობების 5.01, 5.02, 5.03 და 5.04 პუნქტებით.

პუნქტი 6.02. MDF-ის მიერ წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების 7.01 პუნქტის შესაბამისად გაცემული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან დადებული ხელშეკრულება, სრულად მოქმედია მსესხებლისათვის და გააჩნია იგივე ძალა, რაც მსესხებლის მიერ ამ ქმედებების განხორციელების ან ხელშეკრულებების დადების შემთხვევაში.

პუნქტი 6.03. MDF-ის მიერ წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების 7.01 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება შესაძლოა გაუქმდეს ან შეიცვალოს მსესხებლისა და ADB-ს ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.

მუხლი VII

სხვადასხვა

პუნქტი 7.01. სასესხო პირობების 11.02 პუნქტის შესაბამისად მსესხებლის ფინანსთა მინისტრი ინიშნება "მსესხებლის" წარმომადგენლად;

პუნქტი 7.02 სასესხო პირობების 11.01 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრება შემდეგი მისამართები:

<u>მსესხებლისათვის</u>

ფინანსთა სამინისტრო
სახელმწიფო ვალის და საერთაშორისო ფინანსების დეპარტამენტი
გორგასლის ქ. 16, 0114
თბილისი, საქართველო

ფაქსი:
(99532) 2261 461.

<u>ADB-სათვის</u>

აზიის განვითარების ბანკი
6 ADB გამზირი
მანდალუონგი
1550 მეტრო მანილა
ფილიპინები

ფაქსი:
(632) 636-2444
(632) 636-2301.

რის დასტურად, მხარეები, მათი სათანადო უფლებამისილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებას და უზრუნველყოფენ მის მიწოდებას ADB-ის სათაო ოფისში, მითითებულ წელსა და რიცხვში.

საქართველო

[სახელი, გვარი და თანამდებობა]

აზიის განვითარების ბანკი

[სახელი, გვარი და თანამდებობა]

დანართი 1

პროექტის აღწერა

1.საინვესტიციო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ეფექტიანი, საიმედო და ხელმისაწვდომი ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

2.საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, პროექტის მიზანია გააუმჯობესოს ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება შერჩეულ მუნიციპალიტეტებში.

3.პროექტი შედგება:

(a) თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი ოთხხაზიანი გზის მშენებლობა (დაახლოებითი 10.6 კმ მთლიანი სიგრძით);

(b) მცხეთაში მდ. არაგვზე 151მ სიგრძის ორხაზიანი ხიდის მშენებლობა, მცხეთასა და აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალს შორის; და

(c) პროექტის განხორციელებაში მხარდაჭერის აღმოჩენა (მხარდაჭერა მოიცავს შემდეგ სფეროებს: მშენებლობა, ზედამხედველობა, ფინანსური მართვა, შესყიდვები, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოება, ფინანსური აუდიტი) და გადამზადება/უნარ-ჩვევების განვითარება ხიდების მშენებლობისა და ექსპლუატაციის საკითხებში .

4. პროექტის დასრულების თარიღია 2018 წლის 31 ივლისი.

დანართი 2

ამორტიზაციის გრაფიკი

(მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა – პროექტი 2)

გადახდის თარიღი	ძირითადი თანხის დაფარვა (SDR)*
15 იანვარი, 2021	221,646
15 ივლისი, 2021	221,646
15 იანვარი, 2022	221,646
15 ივლისი, 2022	221,646
15 იანვარი, 2023	221,646
15 ივლისი, 2023	221,646
15 იანვარი, 2024	221,646
15 ივლისი, 2024	221,646
15 იანვარი, 2025	221,646
15 ივლისი, 2025	221,646
15 იანვარი, 2026	221,646
15 ივლისი, 2026	221,646
15 იანვარი, 2027	221,646
15 ივლისი, 2027	221,646
15 იანვარი, 2028	221,646
15 ივლისი, 2028	221,646
15 იანვარი, 2029	221,646
15 ივლისი, 2029	221,646
15 იანვარი, 2030	221,646
15 ივლისი, 2030	221,646
15 იანვარი, 2031	221,646
15 ივლისი, 2031	221,646
15 იანვარი, 2032	221,646
15 ივლისი, 2032	221,646
15 იანვარი, 2033	221,646
15 ივლისი, 2033	221,646
15 იანვარი, 2034	221,646
15 ივლისი, 2034	221,646
15 იანვარი, 2035	221,646
15 ივლისი, 2035	221,646
15 იანვარი, 2036	221,646
15 ივლისი, 2036	221,646
15 იანვარი, 2037	221,646
15 ივლისი, 2037	221,646

15 იანვარი, 2038	221,646
15 ივლისი, 2038	221,646
15 იანვარი, 2039	221,646
15 ივლისი, 2039	221,646
15 იანვარი, 2040	221,646
15 ივლისი, 2040	221,646
15 იანვარი, 2041	221,646
15 ივლისი, 2041	221,646
15 იანვარი, 2042	221,646
15 ივლისი, 2042	221,646
15 იანვარი, 2043	221,646
15 ივლისი, 2043	221,646
15 იანვარი, 2044	221,646
15 ივლისი, 2044	221,638
სულ	10,639,000

* გადახდა უნდა განხორციელდეს სასესხო 3.04 და 4.03 პუნქტებით განსაზღვრული დებულებების მიხედვით.

დანართი 3

სესხის თანხების გამოყოფა და მიღება

ზოგადი

1. წინამდებარე დანართის ცხრილში ("ცხრილი") განსაზღვრულია იმ ხარჯების კატეგორიები, რომლებიც უნდა დაფინანსდეს სესხის თანხებით, აგრეთვე თითოეული კატეგორიისთვის გამოყოფილი თანხა. ("კატეგორია" ამ დანართში აღნიშნავს ცხრილში მოცემულ "კატეგორიას" ან "ქვეკატეგორიას").

სესხის ანგარიშიდან თანხის გატანის საფუძველი

2. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, სესხის თანხები გაიცემა ცხრილში მოცემული თითოეული დანახარჯის კატეგორიისთვის განსაზღვრული პროცენტული ოდენობის საფუძველზე.

საპროცენტო განაკვეთი

3. მე-3 კატეგორიაში განსაზღვრული თანხა გამოიყოფა პროექტის განხორციელების პერიოდში სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელის დასაფარად.

რეალოკაცია

4. მიუხედავად ცხრილში მითითებული სესხის თანხისა და გატანის პროცენტული მაჩვენებლისა:

(a) თუ ნებისმიერი კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა არასაკმარისი აღმოჩნდება ამ კატეგორიის ყველა შეთანხმებული დანახარჯის დასაფინანსებლად, ADB-ს, მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, შეუძლია (1) თავიდან გადაანაწილოს სესხის სახსრები და ასეთ კატეგორიაზე გადმოიტანოს გაანგარიშებული დეფიციტის დასაფარად აუცილებელი ის თანხა, რომელიც იმ მომენტისთვის გამოყოფილია სხვა კატეგორიისათვის და, ADB-ს აზრით, ამ ხარჯების დასაფინანსებლად საკმარისზე მეტია; (2) თუ ასეთი გადანაწილებით სრულად ვერ ხერხდება გაანგარიშებული დეფიციტის დაფარვა, შეამციროს ამ ხარჯისათვის გამოყენებული პროცენტული მაჩვენებელი, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს ამ კატეგორიიდან თანხის გატანის მანამდე გაგრძელება, სანამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ხარჯი არ დაფინანსდება; და

(b) თუ რომელიმე კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა აღემატება ამ კატეგორიის ყველა შეთანხმებული ხარჯის ოდენობას, ADB-ს შეუძლია, მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, ასეთი ზედმეტი თანხა სხვა კატეგორიებზე გადაანაწილოს

<u>გაცემის პროცედურები</u>

5. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, სესხის თანხების გაცემა განხორციელდება სესხის თანხების გაცემის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

<u>რეტროაქტიური დაფინანსება</u>

6. სესხის ანგარიშიდან თანხის გატანა შეიძლება განხორციელდეს ნებადართული დასაბუთებული სამუშაოების, საქონლისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, მათი შესრულების შემდეგ, თუ სამუშაოები შესრულდა წინამდებარე სესხის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღემდე, მაგრამ ამ სესხის ხელშეკრულების გაფორმებამდე არა უადრეს 12 თვისა. ამგვარი ხარჯების მაქსიმალური თანხა სესხის თანხის 20%-ის ექვივალენტს შეადგენს.

ცხრილი

სესხის თანხების განტავსება და გამოთხოვა (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა – პროექტი 2)			
ნომერი	დასახელება	ADB-ს დაფინანსებისათვის გამოყოფილი ჯამური თანხა (SDR)	სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვის პროცენტული წილი
1	სამუშაოები	8,312,000	ჯამური მოთხოვნილი ხარჯის 20% *
2	საკონსულტაციო მომსახურება	758,000	ჯამური მოთხოვნილი ხარჯის 20% *
3	პროცენტი	223,000	დასაფარი თანხის 100%
4	გაუნაწილებელი	1,346,000	
	სულ	10,639,000	

*მსესხებლის ტერიტორიაზე მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე.

დანართი 4

სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვა

<u>ზოგადი</u>

1. სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვა ხორციელდება შესყიდვის სახელმძღვანელო მითითებებისა და საკონსულტაციო მომსახურებების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

2. მოცემულ დანართში გამოყენებულ ყველა ტერმინს, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებაში აქვს შესყიდვის სახელმძღვანელო მითითებებსა და/ან საკონსულტაციო მომსახურებების სახელმძღვანელო მითითებებში გამოყენებული მნიშვნელობა.

<u>სამუშაოები</u>

3. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, სამუშაოების შესყიდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ საერთაშორისო საკონკურსო ტენდერის საფუძველზე.

4. შესყიდვის მეთოდი, სხვა პროცედურებთან ერთად, განისაზღვრება შესყიდვების გეგმაში დადგენილი დეტალური ღონისძიებებისა და ზღვრული ოდენობების საფუძველზე. მსესხებლის მიერ შესყიდვის მეთოდების ან ზღვრული ოდენობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ADB-სთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე და ეს ცვლილებები უნდა შევიდეს შესყიდვების განახლებულ გეგმაში.

<u>კონტრაქტის გაფორმების პირობები</u>

5. მსესხებელს აქვს უფლება დადოს გარემოზე მოქმედი სამუშაო კონტრაქტი მხოლოდ მას შემდეგ, რაც MDF-მა:

(a) მიიღო საბოლოო დასტური მსესხებლის IEE-ის შესაბამისი უფლებამოსილი ერთეულიდან, და

(b) სამუშაო კონტრაქტში შეიტანა EMP-ის შესაბამისი დებულებები.

6. მსესხებელს არ აქვს უფლება დადოს სამუშაო კონტრატი, რომელსაც შედეგად მოჰყვება იძულებითი განსახლება, სანამ MDF არ მოამზადებს და წარუდგენს ADB-ს საბოლოო, დეტალურ დიზაინზე დამყარებულ LARP-ს და სანამ ADB-საგან არ მიიღებს თანხმობას წარდგენილ LARP-ზე.

<u>საკონსულტაციო მომსახურებები</u>

7. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს MDF-ის მიერ ხარისხსა და ფასზე დამყარებული საკონსულტაციო მომსახურებების შერჩევა.

8. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს MDF-ის მიერ ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა, ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევის ADB-ისთვის მისაღები პროცედურების დაცვით.

საწარმოო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

1. (a)მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი სახის სამუშაოს (მათ შორის, კომპიუტერული მოწყობილობების, პროგრამებისა და სისტემების როგორც ცალკე, ასევე სხვა საქონელთან და მომსახურებასთან ერთად) შესყიდვისას არ მოხდეს რომელიმე მესამე მხარის საწარმოო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლების ან მოთხოვნის დარღვევა ან გვერდის ავლა.

(b) მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამუშაოს შესყიდვების ყველა კონტრაქტი შეიცავდეს სათანადო მონაცემთა ჩამონათვალს, გარანტიებს და, საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორის ან მომწოდებლის მიერ ზარალის ანაზღაურების გარანტიას, ამ პარაგრაფის (a) ქვეპუნქტში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით.

9. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ADB-ს მიერ დაფინანსებული ყველა საკონსულტაციო კონტრაქტი შეიცავდეს კონსულტანტების სათანადო ჩამონათვალს, გარანტიებს და საჭიროების შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურების გარანტიას, რომ აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურება არ არღვევს საწარმოო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ან არ წარმოშობს მოთხოვნებს მესამე მხარისგან.

ADB-ის მიერ შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხილვა

10. საერთაშორისო საკონკურსო ტენდერების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები და საკონსულტაციო მომსახურების კონტრატები ექვემდებარება ADB-ის მიერ წინასწარ განხილვას, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული მსესხებელსა და ADB-ს შორის, რაც მითითებულია შესყიდვების გეგმაში

11. მსესხებელმა უნდა მიიღოს ADB-ის წინასწარი თანხმობა (დამტკიცება) იმ შემთხვევებში, თუ მსესხებელი:

(a) აგრძელებს სამუშაოების შესყიდვის კონტრაქტის დასრულების წინასწარ განსაზღვრულ ვადას; ან

(b) თანახმაა სამუშაოების შესყიდვის კონტრაქტში ნებისმიერი სახის ცვლილების შეტანაზე ან პირობის გაუქმებაზე, (c) ან (d) პუნქტებში განსაზღვრული ცვლილებების ჩათვლით; ან

(c) გასცემს განკარგულებას მასალისა და სამუშაოების შესყიდვის კონტრაქტში ისეთი ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც იწვევს კონტრაქტის საწყისი ფასის ცვლილებას (ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ასეთ ჯამურ მაჩვენებელში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა წინა და მიმდინარე ცვლილება ან ცვლილებები მოცემული კონტრაქტის ფარგლებში);ან

(d) გასცემს განკარგულებას სამუშაოების შესყიდვის კონტრაქტში ისეთი ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც იწვევს საწყისი საკონტრაქტო ფასის 15%-იან ცვლილებას (ზრდის ან კლების მიმართულებით), თუნდაც ასეთი ცვლილება არ იწვევდეს საწყისი საკონტრაქტო ფასის გაზრდას. ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ასეთ ჯამურ მაჩვენებელში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა წინა და მიმდინარე ცვლილება ან ცვლილებები მოცემული კონტრაქტის ფარგლებში.

12. ADB-მ მისთვის დასამტკიცებლად გაგზავნილ პუნქტ 12-ში განხილულ ყველა მოთხოვნას უნდა უპასუხოს მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში (მანილაში). პასუხში მიეთითოს: (a) დამტკიცებულია, (b) უარყოფილია, (c) მოთხოვნილია დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია ან (d) გადაწყვეტილება მიიღება მას შემდეგ, რაც საკითხს განიხილავს ADB-ს შესყიდვების კომიტეტი. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევას განსაზღვრავს ADB. თუ ADB ვერ უპასუხებს მოთხოვნას მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში (მანილა), მოთხოვნა განიხილება როგორც დამტკიცებული (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილების შეტყობინება გადავადდება შესყიდვების კომიტეტის მიერ საკითხის შემდგომ განხილვასთან დაკავშირებით. (c) პუნქტის შემთხვევაში, მსესხებელმა დროულად უნდა წარუდგინოს ADB-ს მოთხოვნილი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, ამასთან, ADB-მ, მისთვის დამაკმაყოფილებელი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მიწოდებიდან 10 სამუშაო დღეში (მანილა) უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების შეტყობინება. (d) პუნქტის შემთხვევაში, ADB-მ მსესხებელს შესყიდვების კომიტეტის გადაწყვეტილება უნდა აცნობოს შესყიდვების კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში (მანილა).

13. მსესხებელმა თავად უნდა განახორციელოს ან უზრუნველყოს MDF-ის მიერ შემდეგის განხორციელება

(a) მიაწოდოს ADB-ს გადავადების, ცვლილებების, კონტრაქტის პირობების გაუქმების (დაკვეთების შეცვლის ჩათვლით) ამსახველი დოკუმენტების ასლები ADB-საგან პუნქტ 12-ის შესაბამისად თანხმობის მიღებიდან და კონტრაქტში ცვლილებების შეტანიდან 10 დღის განმავლობაში; და

(b) აწარმოოს ჩანაწერები ყველა კონტრაქტში/დაკვეთაში შეტანილი იმ ცვლილების შესახებ, რომლებიც არ მოითხოვს ADB-ს წინასწარ დამტკიცებას პუნქტი 12-ის შესაბამისად და ყოველ 6 თვეში ერთხელ მიაწოდოს ADB-ს ასეთი ჩანაწერები.

დანართი 5

პროექტის განხორციელება; ფინანსური საკითხები

<u>განხორციელება</u>

1. მსესხებელმა და MDF-მა უნდა უზრუნველყონ პროექტის განხორციელება PAM-ში განსაზღვრული ღონისძიებების მიხედვით. PAM-ის რაიმე სახის შემდგომი ცვლილება ძალაში შევა მხოლოდ მსესხებლისა და ADB-ის მიერ დამტკიცების შემდეგ. PAM-სა და სასესხო ხელშეკრულებას და/ან საპროექტო ხელშეკრულებას შორის რაიმე სახის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სასესხო ხელშეკრულებაში და/ან საპროექტო ხელშეკრულებაში მოცემულ დებულებებს.

<u>გარემო</u>

2. მსესხებელის ძალისხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს პროექტის მომზადების, დიზაინის, მშენებლობის, განხორციელების, ოპერაციებისა და დასრულების შესაბამისობა: (a) გარემოს, ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების შესაბამის კანონებთან და მარეგულირებელ ნორმებთან; (b) გარემოს დაცვის უსაფრთხოების ზომებთან c) EARF-თან; და (d) IEE-სა და EMP-ში განსაზღვრულ ყველა ღონისძიებასა და მოთხოვნასთან, ასევე ყველა იმ მაკორექტირებელ და პრევენციულ ქმედებასთან, რომლებიც წარმოდგენილია უსაფრთხოების ზომების მონიტორინგის ანგარიშში.

<u>მიწის შესყიდვა და იძულებითი განსახლება</u>

3. მსესხებლის ძალისხმეეით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს პროექტისთვის საჭირო მიწა და შესაბამისი უფლებები სამუშაოების შემსრულებელი კონტრაქტორისათვის, სამუშაოებთან დაკავშირებულ კონტრაქტში განსაზღვრული განრიგის შესაბამისად; ამასთან, უნდა უზრუნველყოს, რომ მიწის შესყიდვისა და განსახლების ღონისძიებები განხორციელდეს (a) მიწის შესყიდვასა და განსახლების მსესხებელის შესაბამისი კანონებისა და მარეგულირებელი ნორმების დაცვით; (b) იძულებითი განსახლების უსაფრთხოების ზომების შესაბამისად; (c) LARF-ის შესაბამისად; და (d) შესაბამის LARF-ში განსაზღვრული ღონისძიებებისა და მოთხოვნების, ასევე უსაფრთხოების ზომების მონიტორინგის ანგარიშში წარმოდგენილი ყველა მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებების შესაბამისად.

4. იძულებითი განსახლების უსაფრთხოების ზომების გამოყენების შეზღუდვის გარეშე, მსესხებლის ძალისხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს რომ არ მოხდეს პროექტთან დაკავშირებული ფიზიკური ან ეკონოკური განსახლება, სანამ:

(a) განსახლებას დაქვემდებარებულ პირებს არ გადაეცემათ კომპენსაციები და უფლებები LARF-ის შესაბამისად; და

(b) არ შემუშავდება და ჩამოყალიბდება სათანადო შემოსავლისა და საცხოვრებელი პირობების აღმდგენი პროგრამა, LARF-ის შესაბამისად.

Schedule 5

<u>მკვიდრი მოსახლეობა</u>

5. პროექტის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული რაიმე სახის ზეგავლენა მკვიდრ მოსახლეობაზე. ასეთი გავლენის არსებობის შემთხვევაში, მსესხებლის ძალისხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს მსესხებლისა და SPS-ის შესაბამისი კანონებისა და მარეგულირებელი ნორმების დაცვა. მსესხებლისა და SPS-ის კანონებსა და მარეგულირებელ ნორმებს შორის განსხვავების არსებობისას, უპირატესობა ენიჭება SPS-ს.

<u>უსაფრთხოების მოთხოვნების გასახორციელებლად საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები</u>

6. მსესხებლის ძალისხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს EMP-ისა და LARP-ის სრულად გასახორციელებლად აუცილებელი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფა.

<u>უსაფრთხოების ზომები – შესაბამისი დებულებები სატენდერო დოკუმენტებსა და სამუშაოების შესყიდვების კონტრაქტებში</u>

7. მსესხებლის ძალისხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტებში და სამუშაოების შესყიდვების კონტრაქტებში ისეთი დებულებების შეტანა, რომლებიც ითვალისწინებს კონტრაქტორის მიერ შემდეგი მოთხოვნების შესრულებას:

(a) შეასრულოს IEE- ში, EMP-სა და LARP-ში წარმოდგენილი ზომები და მოთხოვნები (მშენებლობის პროცესში გავლენას დაქვემდებარებული მოსახლეობის ფარგლებში) და უსაფრთხოების ზომების მონიტორინგის ანგარიშში მოცემული მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებები;

(b) გამოყოს ბიუჯეტი ყველა ამ ტიპის გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებისათვის;

(c) წერილობით შეატყობინოს მსესხებელს გარემოს დაცვასთან, განსახლებასთან ან მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული ყველა იმ გაუთვალისწინებელი რისკის ან ზეგავლენის შესახებ, რომელიც წამოიჭრება მშენებლობის, განხორციელების ან პროექტის ოპერირების პროცესში და არ არის გათვალისწინებული IEE, EMP ან LARP დოკუმენტებში;

(d) მასალების ტრანსპორტირებისა და მშენებლობის დაწყებამდე აღრიცხოს გზების, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების მდგომარეობა; და

(e) მშენებლობის დასრულების შემდეგ სრულად აღადგინოს სავალი ბილიკები, სხვა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო მიწები, სულ მცირე, პროექტისწინა მდგომარეობამდე.

<u>უსაფრთხოების ზომების მონიტორინგი და რეპორტინგი</u>

8. მსესხებლის ძალისხმევით, MDF-მა უნდა განახორციელოს შემდეგი:

(a) წელიწადში ორჯერ წარუდგინოს ADB-ს უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიშები და ანგარიშების წარდგენიდან მოკლე ვადაში მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ზეგავლენას დაქვემდებარებულ პირებს;

(b) თუ მშენებლობის, განხორციელების ან პროექტის ოპერირების პროცესში არსებობს/წამოიჭრება გარემოს დაცვასთან, განსახლებასთან ან მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი რისკი ან ზეგავლენა, რომელიც არ არის გათვალისწინებული IEE, EMP ან LARP დოკუმენტებში, დროულად შეატყობინოს ამის შესახებ ADB-ს, მოვლენის დეტალური აღწერით და მაკორექტირებელი ზომების შეთავაზებით;

(c) პროექტის მონიტორინგის პროცესში მიღებული ინფორმაციის დაზუსტებისა და გარე ექსპერტების მიერ ინფორმაციის დაზუსტების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების ამოქმედებიდან არა უგვიანეს 3 თვის ვადაში მოიწვიოს კვალიფიციური და გამოცდილი გარე ექსპერტები ან კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაცია, შერჩევის პროცედურის დაცვით და ADB-სთვის მისაღები პროცედურებისა და პირობების გათვალისწინებით; და

(d) წარადგინოს ანგარიში EMP-ში ან LARP-ში განსაზღვრული ღონისძიებებისა და მოთხოვნების ფაქტობრივი დარღვევის ან დარღვევის პოტენციური საშიშროების შესახებ, ამგვარი ფაქტების დადგენიდან უმოკლეს ვადაში.

<u>აკრძალული ინვესტიციების ჩამონათვალი</u>

9. მსესხებლის ძალისხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს, რომ სესხის თანხები არ იყოს გამოყენებული იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც შედის SPS-ის დანართ 5–ში მოცემულ აკრძალული ინვესტიციების ჩამონათვალში.

<u>ჯანდაცვისა და შრომის სტანდარტები</u>

10. მსესხებელის ძალიასხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს, რომ სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორები (a) შესაბამისობაში მოდიოდნენ მსესხებლის ქვეყანაში არსებულ შრომის კოდექსთან და მარეგულირებელ ნორმებთან; (b) დაასაქმებენ ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის ქალებსა და

მცირეშემოსავლიან ადამიანებს, რომლებიც პროექტის ტერიტორიაზე ცხოვრობენ; (c) ერთსა და იმავე შესრულებულ სამუშაოში ქალებსა და მამაკაცებს თანაბარ ანაზღაურებას შესთავაზებენ; (d) მოაწყობენ ადეკვატურად აღჭურვილ პირველადი დახმარების, სამედიცინო და სანიტარულ ერთეულებს, ქალებისა და მამაკაცებისათვის უზრუნველყოფენ ცალ-ცალკე საპირფარეშოებს პროექტის ტერიტორიაზე; (e) პროექტის განხორციელების პერიოდში, სამუშაო ბანაკებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, გაავრცელებენ ინფორმაციას და ჩაატარებენ საგანმანათლებლო კამპანიებს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და შიდსის შესახებ; და (f) თავს შეიკავებენ ბავშვების დასაქმებისაგან. პროექტის ფარგლებში დაფინანსებული კონტრაქტები უნდა შეიცავდეს სპეციალურ დებულებებს ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებისათვის.

<u>გენდერი და განვითარება</u>

11. მსესხებელის ძალისხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს, რომ: (a) გენდერის სამოქმედო გეგმა შესრულდეს მისი პირობების/ვადების შესაბამისად; (b) სატენდერო დოკუმენტები შეიცავდეს დებულებებს კონტრაქტორების მიერ გენდერულ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ღონისძიებების შესრულების შესახებ; (c) გენდერული სამოქმედო გეგმის შესასრულებლად გამოიყოს ადეკვატური რესურსები; და (d) რეგულარულად განხორციელდეს სათანადო ზომები გენდერული სამოქმედო გეგმის ძირითადი შედეგებისა და მიზნების მონიტორინგსა და მიღწევისთვის.

<u>მმართველობა და კორუფცია</u>

12. მსესხებელი და MDF ვალდებული არიან: (a) დაიცვან ADB-ს ანტიკორუფციული პოლიტიკა (1998, შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) და აღიარონ ADB-ს უფლება განახორციელოს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი კორუფციის, თაღლითობის, ფარული მოლაპარაკების ან ძალადობის ფაქტის გამოძიება საკუთარი ძალებით ან აგენტების გამოყენებით; და (b) ითანამშრომლონ ნებისმიერ ასეთ გამოძიებასთან და აღმოუჩინონ გამოძიების განმახორციელებელ პირებს საჭირო დახმარება, გამოძიების წარმატებით დასრულების მიზნით.

13. მსესხებელის ძალისხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სატენდერო დოკუმენტში და კონტრაქტში შეივიდეს ADB-სათვის მისაღები ანტიკორუფციული დებულებები, იმ დებულებების ჩათვლით, სადაც კონკრეტულად არის განსაზღვრული ADB-ს უფლება ჩაატაროს პროექტთან დაკავშირებული განმახორციელებელი და შემსრულებელი სააგენტოების, აგრეთვე ყველა კონტრაქტორის, მომწოდებლის, კონსულტანტის და სხვა მომსახურების მომწოდებლის ჩანაწერებისა და ანგარიშების აუდიტი.

<u>ოპერაციული პირობები</u>

14. მსესხებელის ძალისხმევით, MDF-მა უნდა უზრუნველყოს შემდეგი: (a) პროექტის განხორციელება დიზაინის სპეციფიკაციებისა და სამშენებლო ნორმების

დაცვით; და (b) მშენებლობის ზედამხედველობა, ხარისხის კონტროლი და კონტრაქტების მართვა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

15. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი მუნიციპალიტეტებისა და მმართველი ორგანოების მიერ უსაფრთხოების სათანადო ნიშნებისა და საშუალებების დამონტაჟება, ასევე ჩაატაროს უბედური შემთხვევებისა და გზის დატვირთვის მაჩვენებლების მონიტორინგი.

16. მსესხებელმა და MDF-მა უნდა უზრუნველყონ, რომ ADB-ის თანხმობა მიიღონ, სულ მცირე, 6 თვით ადრე, სანამ განახორციელებენ შემდეგ ქმედებებს: (a) პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ნებისმიერი აქტივის, საშუალების ან სტრუქტურის მფლობელების ცვლილება; (b) პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ნებისმიერი აქტივის, საშუალების ან სტრუქტურის გაყიდვა, გადაცემა ან უფლების ან კონტროლის გადაცემა; (c) MDF-ის წესდებაში ნებისმიერი შესწორება, ცვლილება ან სხვაგვარად ფორმულირება, რამაც შეიძლება იმოქმედოს პროექტის განხორციელებაზე ან მენჯმენტზე; ან (d) ნებისმიერი იჯარის თუ სხვა სახის კონტრაქტის ფარგლებში ან პროექტის ფარგლებში დაფინანსებული აქტივების, საშუალებებისა ან სტრუქტურების ოპერირებასა და ექსპლუატაციაში MDF-ის ფუნქციების ან უფლებამოსილების ცვლილება. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი ასეთი ცვლილების ლეგალურად და გამჭვირვალე ფორმით განხორციელება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმნის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 23012-01
თარიღი/DATE 24.07.12
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia